

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030407946248115

04-357/ო

27 / ოქტომბერი / 2015 წ.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ განმეორებით რეგისტრაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დარეგულირების შესახებ

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. იმ ოჯახებს (მათი წევრების გათვალისწინებით), რომლებსაც, 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის შეწყვეტის თვიდან მომდევნო სამი წლის განმავლობაში აკრძალავთ განმეორებითი რეგისტრაცია, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ განმეორებითი რეგისტრაციის აკრძალვის ვადა განესაზღვროთ ერთი წლით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოჯახებს (მათ წევრებს), მიეცეთ უფლება, სურვილის შემთხვევაში, განმეორებით დარეგისტრირდნენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, თუ რეგისტრაციის შეწყვეტის თვიდან გასულია ერთი წელი.

3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ი. ტაბატაძე), გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესრულების მიზნით;

ბ) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ასლების გაგზავნა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის;

გ) სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს, უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების ასლის ტერიტორიული ერთეულის შენობის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), ბრძანების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე